



მერაბ კოსტავას საზოგადოების

წესდება

1. ზოგადი დებულებანი

1.1. მერაბ კოსტავას საზოგადოება (შემდგომში – საზოგადოება) არის პოლიტიკური ორგანიზაცია, რომელიც ხელმძღვანელობს საქართველოს ეროვნული გმირის – მერაბ კოსტავას იდეალებითა და მრწამსით, იზიარებს ზოგად საკაცობრიო, მწიფობრივ და სამართლებრივ ნორმებს, მიზნად ისახავს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის ფაქტობრივ აღდგენას, მის გაძლიერებასა და დემოკრატიულ, სამართლებრივ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებას, მრავალსაუკუნოვანი ქართველი ერის ტრადიციებისა და ღირსების დაცვას.

1.2. საზოგადოების თითოეული წევრი პოლიტიკური საქმიანობისას ხელმძღვანელობს მერაბ კოსტავას საზოგადოების წესდებით, პროგრამით, ყრილობის, კონფერენციის, გამგეობის გადაწყვეტილებებითა და საზოგადოების თავმჯდომარის განკარგულებით.

1.3. საზოგადოება თანამშრომლობს ყველა იმ პოლიტიკურ პარტიასა და საზოგადოებასთან, იურიდიულ თუ ფიზიკურ პირთან, რომელთა მიზანი და საშუალებები მისაღებია ქართული სახელმწიფოებრიობისა და საზოგადოების ინტერესებისათვის.

1.4. საზოგადოების იურიდიული ვრცელდება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, მისი ცენტრია ქ. თბილისი. საზოგადოებას უფლება აქვს შექმნას სტრუქტურული ერთეული საქართველოს ფარგლებს გარეთაც.

1.5. საზოგადოება არის იურიდიული პირი, აქვს ბეჭედი, საანგარიშსწორებო ანგარიში როგორც ეროვნულ, ასევე უცხოურ ვალუტაში, ღერბი – ხმლის ვადაზე შემომჯდარი, მკერდზე ბორჯღალოგამოსახული არწივის მართვე (დანართი 1), ღროშა – შავ ფონზე გამოსახული ჯვარი, რომლის მეწამური ფერის განივ დეგალს (მხარს) ჰკვეთს თეთრი ფერის სიგრძივი დეგალი (სხეული) (დანართი 2), ჰიმნი. (დანართი 3), ბეჭდვითი ორგანოები: გამეთი „სარანგი“, ჟურნალი „შავლეგო“.

1.6. საზოგადოების იურიდიული მისამართია: ქ. თბილისი, გალაკტიონის ქ № 17.

2. საზოგადოების საქმიანობის

ძირითადი ამოცანები

2.1. საზოგადოების ძირითადი ამოცანებია:

- საქართველოს გერიგორიული მთლიანობის აღდგენა-შენარჩუნება და ფაქტობრივი დამოუკიდებლობის მიღწევა;
- საქართველოს გერიგორიის ერთა ლიგის მიერ ცნობილ საზღვრებში აღდგენა;
- ეროვნული თვითმყოფალობის შენარჩუნებით საქართველოს დემოკრატიულ, სამართლებრივ სახელმწიფოდ ჩამოყალიბება;

დ) საქართველოში ჩატარებული ყველა დონის არჩევნებში მონაწილეობის მიღება და ქვეყნის კეთილდღეობისათვის პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური პროცესების მართვა;

ე) საქართველოს მოქალაქეთა უფლებების დაცვა;

ვ) საბაზრო ეკონომიკის დამკვიდრების ხელშეწყობის გზით ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის ამაღლება და მოქალაქეთა მაკროეკონომიკური კეთილდღეობაზე ზრუნვა;

ზ) საქართველოს ისტორიული ძეგლების დაცვა და ეკოლოგიური გარემოს გაუმჯობესება;

თ) ეროვნულ და ზოგად საკაცობრიო იდეალებზე დაყრდნობით ეროვნული თვითშეგნების ამაღლება და ერის გამთლიანებისათვის ზრუნვა.

2.2 საზოგადოება დასახულ ამოცანებს ახორციელებს მხოლოდ მშვიდობიანი პოლიტიკური გზებით.

3. საზოგადოების წევრები, მათი უფლება – მოვალეობანი

3.1. საზოგადოების წევრი შეიძლება გახდეს საქართველოს ნებისმიერი მოქალაქე, რომელსაც შეუსრულდა 18 წელი, აღიარებს საზოგადოების წესდებას, პროგრამას, იხდის საწევრო შესაგანს და არ არის რომელიმე სხვა პოლიტიკური ორგანიზაციის წევრი.

3.2. საზოგადოებაში გაწევრიანებას ახდენს რაიონული კომიტეტი, გადაწყვეტილებას ამტკიცებს საზოგადოების გამგეობა. საზოგადოების წევრად მიიღება პირი, რომელმაც გაიარა ექვსთვიანი საკანდიდატო ვადა და აქვს საზოგადოების ორი წევრის რეკომენდაცია. განსაკუთრებულ შემთხვევებში, საზოგადოების გამგეობის გადაწყვეტილებით, შესაძლოა დადგენილ ვადაზე ადრე საზოგადოებაში წევრად მიღება.

3.3. საზოგადოების წევრად შეიძლება მიღებულ იქნეს საზოგადოების მხარდამჭერი (თავისუფალი წევრი) მისივე განცხადების საფუძველზე, თუ მას გააჩნია მხარდამჭერობის (თავისუფალი წევრობის) ერთწლიანი სტაჟი და საზოგადოების ორი წევრის რეკომენდაცია.

3.4. საზოგადოების წევრს უფლებამოსილება უწყდება მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევაში, პირადი განცხადების, გარიცხვის ან გარდაცვალების გამო. გარცხვის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს რაიონული კომიტეტი და ამტკიცებს საზოგადოების გამგეობა.

3.5. ამ წესდების 3.2 და 3.3 პუნქტებთან დაკავშირებულ სადავო საკითხებს იხილავს კადრების კომიტეტი (ეთიკის სექტორი) და საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს საზოგადოების გამგეობა.

3.6. საზოგადოების წევრს გააჩნია საზოგადოების წევრობის დამადასტურებელი მოწმობა.

3.7. საზოგადოების წევრს უფლება აქვს:

ა) საზოგადოების შესაბამის ორგანოში დასვას და განიხილოს საზოგადოების საქმიანობასთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხი;

ბ) მონაწილეობა მიიღოს საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი ნებისმიერი საკითხის გადაწყვეტაში;

გ) იქონიოს საზოგადოების მხარდაჭერა იმ საკითხების გადაწყვეტისას, რომელნიც განეკუთვნებიან მისი პირადი და საზოგადოებრივი საქმიანობის სფეროს;

დ) აირჩიოს და არჩეულ იქნეს საზოგადოების არჩევით ორგანოებში;

ე) საზოგადოების შესაბამისი ხელმძღვანელი ორგანოს გადაწყვეტილების საფუძველზე წარდგენილ იქნეს კანდიდატად ნებისმიერი დონის არჩევით ორგანოში;

ვ) მოითხოვოს ინფორმაცია საზოგადოების ნებისმიერი სტრუქტურული ერთეულის საქმიანობის შესახებ და მისცეს მას შეფასება. განცხადებით ან წინადადებით შევიდეს საზოგადოების შესაბამის კომიტეტში და მიიღოს მისგან პასუხი;

3.8. საზოგადოების წევრი ვალდებულია:

ა) იხელმძღვანელოს ამ წესდებით;

ბ) დროულად გადაიხადოს საწევრო შესაგანი, შეასრულოს საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანოების გადაწყვეტილებები;

გ) მთელი თავისი ნიჭი და უნარი მოახმაროს საზოგადოების წინაშე დასმული ამოცანების განხორციელებას და საჭიროების შემთხვევაში სიცოცხლეს კი არ დაიშუროს ერის სასიკეთოდ.

4. საზოგადოების მხარდამჭერის (თავისუფალი წევრის) უფლება-მოვალეობანი

4.1. საზოგადოების მხარდამჭერი (თავისუფალი წევრი) შეიძლება გახდეს ნებისმიერი მოქალაქე, რომელსაც შეუსრულდა 18 წელი, მხარს უჭერს საზოგადოების მიზნებსა და პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს.

4.2. საზოგადოების მხარდამჭერს (თავისუფალ წევრს) სცნობს პირველადი ორგანიზაცია რაიონულ კომიტეტთან შეთანხმებით. საზოგადოების მხარდამჭერად (თავისუფალ წევრად) მიიღებიან პირები, რომელთაც აქვთ საზოგადოების წევრის რეკომენდაცია.

4.3. საზოგადოების მხარდამჭერის (თავისუფალი წევრის) უფლებამოსილება წყდება პირადი განცხადების, გარდაცვალების ან პირველადი ორგანიზაციის გადაწყვეტილების საფუძველზე რაიონულ კომიტეტთან შეთანხმებით.

4.4. სადავო საკითხებს ამ წესდების 4.2 და 4.3 პუნქტებთან დაკავშირებით დაქვემდებარების მიხედვით განიხილავს შესაბამისი რაიონის, ქალაქის, რაიონთაშორისი კომიტეტი და საზოგადოების გამგეობა.

4.5. საზოგადოების მხარდამჭერს (თავისუფალ წევრს) უფლება აქვს:

ა) საზოგადოების სასარგებლოდ მიიღოს მონაწილეობა ყველა დონის საარჩევნო კამპანიაში, აგრეთვე სხვა საკითხების მოგვარებაში;

ბ) იქონიოს საზოგადოების თანადგომა ყველა იმ საკითხის გადაწყვეტისას, რომელიც განეკუთვნება მის პირად და საზოგადოებრივი საქმიანობის სფეროს;

გ) საზოგადოების შესაბამისი ხელმძღვანელი ორგანოს გადაწყვეტილებით, წარდგენილ იქნეს ნებისმიერი დონის არჩევითი ორგანოს წევრობის კანდიდატად.

5. საზოგადოების მართვის ორგანოები, სტრუქტურა და ფუნქციები

5.1. პირველადი ორგანიზაცია იქმნება ქვეყანაში საპარლამენტო არჩევნებისათვის დადგენილი საარჩევნო უბნების დაყოფის პრინციპით. პირველადი ორგანიზაციის წევრთა რიცხვი არ უნდა იყოს 5-ზე ნაკლები.

საზოგადოების რაიონული ორგანიზაცია იქმნება საქართველოში არსებული რაიონული დაყოფის პრინციპით.

5.2. არანაკლებ სამი პირველადი ორგანიზაცია ქმნის რაიონულ ან საქალაქო ორგანიზაციას.

5.3. პირველადი, რაიონული და საქალაქო ორგანიზაციები ქმნიან ხელმძღვანელ ორგანოებს (კომიტეტებს). რაიონული და საქალაქო კომიტეტები ქმნიან რაიონთაშორის კომიტეტს.

პირველადი ორგანიზაციების, რაიონული, საქალაქო და რაიონთაშორისი კომიტეტების ხელმძღვანელი ორგანოა კრება, სადაც აირჩევა შესაბამისი კომიტეტი. კრებებს შორის პერიოდში აღმასრულებელ ფუნქციას ახორციელებს შესაბამისი კომიტეტი.

5.4. რაიონის, ქალაქისა და რაიონთაშორისი კომიტეტები მოქმედებენ საზოგადოების გამგეობის მიერ დამტკიცებული დებულებების მიხედვით.

5.5. საზოგადოების უმაღლესი ხელმძღვანელი ორგანოა საზოგადოების წევრთა ყრილობა, რომელიც გარდება ოთხ წელიწადში ერთხელ.

რიგგარეშე ყრილობა გარდება საზოგადოების გამგეობის გადაწყვეტილებით ან საზოგადოების წევრთა 1/3-ის მოთხოვნით.

ყრილობის დელეგატთა არჩევის წესს ადგენს გამგეობა. ყრილობა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება დელეგატთა ნახევარზე მეტი. ყრილობაზე გადაწყვეტილებები მიიღება ან ფარული კენჭისყრით, ხმათა უბრალო უმრავლესობით.

5.6. ყრილობა:

ა) ისმენს და ამტკიცებს საზოგადოების თავმჯდომარისა და გამგეობის წევრთა ანგარიშს;

ბ) ამტკიცებს საზოგადოების პროგრამასა და წესდებას დელეგატთა ხმების 2/3-ით, შეაქვს მასში ცვლილებები და დამატებები, რომელთა შესახებ უნდა ეცნობოს მარევისგრირებელ ორგანოს;

გ) ირჩევს საზოგადოების თავმჯდომარეს, გამგეობასა და სარევიზიო კომისიას არანაკლებ 3 წევრის შემადგენლობით;

დ) იღებს გადაწყვეტილებას საზოგადოების უმნიშვნელოვანეს საკითხებზე;

ე) წყვეტს საზოგადოების რეორგანიზების ან თვითლიკვიდირების საკითხს.

5.7. საზოგადოების აღმასრულებელი ორგანო - გამგეობა:

ა) უზრუნველყოფს ყრილობის გადაწყვეტილებების შესრულებას;

ბ) წარმართავს საზოგადოების, როგორც ერთიანი ორგანიზაციის საქმიანობას;

გ) კონტროლს უწევს ცენტრალიზებული წესით დაქვემდებარებულ სტრუქტურულ რგოლებს საზოგადოების საქმიანობის ნებისმიერ სფეროში;

დ) იღებს სტრუქტურულ რგოლებს, საზოგადოების წევრსა და ხელმძღვანელ პირს ან ორგანოს შორის წარმოშობილ სადავო საკითხებთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებს.

ე) იღებს გადაწყვეტილებას, რომლის შესრულება სავალდებულოა სტრუქტურული ერთეულისათვის, საზოგადოების წევრისა თუ წევრობის კანდიდატისათვის;

ვ) ამტკიცებს თავმჯდომარის მიერ წარმოდგენილი კომიტეტების სტრუქტურებს, მათ დებულებებს, გაზეთ „სარანგისა“ და ჟურნალ „შაველეგოს“ რედაქტორების კანდიდატურებსა და სხვა სტრუქტურული ერთეულების საშტატო განრიგს;

ზ) საზოგადოების წევრს აკისრებს დისციპლინურ სასჯელს;

თ) თავმჯდომარის წარდგინებით ამტკიცებს სპეციალურ წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირს.

5.8. საზოგადოების გამგეობის სხდომა მოიწვევა თვეში ოთხჯერ, იგი უფლებამოსილია, თუ მას ესწრება გამგეობის წევრთა ნახევარზე მეტი. გამგეობა გადაწყვეტილებებს იღებს ღია ან ფარული კენჭისყრით ხმათა უბრალო უმრავლესობით. რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე არის გამგეობის წევრი სათათბირო ხმის უფლებით. გამგეობის სხდომებს უძღვება საზოგადოების თავმჯდომარე. საზოგადოების თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში საზოგადოების საქმიანობას წარმართავს გამგეობის ერთ-ერთი წევრი საზოგადოების თავმჯდომარის ბრძანების საფუძველზე. გამგეობის გადაწყვეტილებით, კოოპერაციის წესით გამგეობაში შეიძლება შეყვანილ იქნეს ახალი წევრი.

5.9. გამგეობა და რაიონული კომიტეტები თავიანთ საქმიანობას ახორციელებენ კომიტეტების, კომისიების, სექტორების, განყოფილებებისა და აპარატის მეშვეობით.

5.10. საზოგადოებას ყველა სახელმწიფო, საზოგადოებრივ, პოლიტიკურ თუ სხვა სახის ორგანოებთან, ორგანიზაციებთან და ფიზიკურ პირებთან წარმოადგენს თავმჯდომარე. საზოგადოების თავმჯდომარე ასევე:

ა) წარმართავს საზოგადოების ყოველდღიურ საქმიანობას;

ბ) გამგეობას წარუდგენს დასამტკიცებლად საზოგადოების სტრუქტურული ერთეულის საშტატო განრიგს;

გ) გამგეობას წარუდგენს დასამტკიცებლად კანდიდატურებს საზოგადოების დანიშნით თანამდებობებზე;

დ) გამგეობას წარუდგენს დასამტკიცებლად გაზეთ „სარანგისა“ და ჟურნალ „შაველეგოს“ რედაქტორების კანდიდატურებს;

ე) განაგებს საზოგადოების ფინანსებსა და მეურნეობას;

5.11. სარევიზიო კომისიის განსაკუთრებული უფლებამოსილებაა პარტიის საფინანსო-საბუღალტრო დოკუმენტების რევიზია. სარევიზიო კომისია, უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომისიის წევრთა ნახევარზე მეტი, ის გადაწყვეტილებას იღებს დამსწრეთა ხმების უმრავლესობით.

5.12. საზოგადოებაში ფუნქციონირებენ შემდეგი კომიტეტები:

ა) კადრების;

ბ) საზოგადოებასთან ურთიერთობის;

გ) იურიდიული;

დ) საარჩევნო;

ე) კოორდინაციისა და კონტროლის;

ვ) სოციალურ-ეკონომიკური;

ზ) თბილისის;

თ) საორგანიზებო-სამეურნეო.

5.13. საზოგადოების გამგეობასთან ფუნქციონირებს გაზეთ „სარანგისა“ და ჟურნალ „შაველეგოს“ რედაქცია.

5.14. გამგეობის კომიტეტს ხელმძღვანელობს გამგეობის წევრი.

5.15. სექტორის უფროსებს საზოგადოების თავმჯდომარესთან შეთანხმებით ნიშნავს და ათავისუფლებს შესაბამისი კომიტეტის თავმჯდომარე.

6. საზოგადოების ქონება და ფულადი სახსრები

6.1. საზოგადოების ქონება და ფულადი სახსრები იქმნება:

- ა) საზოგადოების წევრთა საწევრო გადასახადისაგან;
- ბ) ფიზიკურ და იურიდიულ პირთა შემოწირულობებისაგან;
- გ) პარტიის სიმბოლიკის დამზადებითა და გაერცელებით, პარტიის მიერ ლექციების, გამოფენებისა და სხვა მსგავსი ღონისძიებების მოწყობით, აგრეთვე საწესდებო მიზნებიდან ვამომდინარე საგამომცემლო და სხვა საქმიანობით მიღებული თანხებით, რომლებიც არ ეწინააღმდეგებიან მოქმედ კანონმდებლობას.

6.2. საზოგადოების ფულად სახსრებს განკარგავს საზოგადოების თავმჯდომარე, რომელიც ანგარიშვალდებულია მხოლოდ ყრილობისა და გამგეობის წინაშე.

7. საზოგადოების რეორგანიზება ან თვითლიკვიდირება

7.1. საზოგადოების რეორგანიზება ან თვითლიკვიდირება ხდება ყრილობის გადაწყვეტილებით, დელეგატთა საერთო რიცხვის 3/4-ის თანხმობით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

7.2. საზოგადოების რეორგანიზების ან თვითლიკვიდირების შემთხვევაში დარჩენილი ქონება ნაწილდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.



